# საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

# ბრძანება N 2-240

ქ. თბილისი

25/02/2021

**ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, სს „თელასის“ ტრანსფორმატორებში გამოყენებული საიზოლაციო ზეთების რეგენერაციის (ნარჩენების აღდგენა) საწარმოს და 10 ტონაზე მეტი სახიფათო ნარჩენის დროებითი შენახვის ობიექტის ექსპლუატაციის სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ**

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის, ამავე კოდექსის II დანართის მე-10 პუნქტის 10.3 და 10.5 ქვეპუნქტის საფუძველზე

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. გაიცეს, ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, სს „თელასის“ ტრანსფორმატორებში გამოყენებული საიზოლაციო ზეთების რეგენერაციის (ნარჩენების აღდგენა) საწარმოს და 10 ტონაზე მეტი სახიფათო ნარჩენის დროებითი შენახვის ობიექტის ექსპლუატაციის პროექტზე სკოპინგის დასკვნა N9 (17.02.2021);
2. სს „თელასი“ ვალდებულია გზშ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს N9 (17.02.2021) სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს სს „თელასს“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს სს „თელასის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკოპინგის დასკვნის გაცემიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სამგორის რაიონის გამგეობის საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

**ლევან დავითაშვილი**

**მინისტრი**